სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება №1-67

გორი 13 10 2017წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე ტესტირებისა და საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობების დამტკიცებისა და მეთვალყურეების გამოყოფის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის 2014 წლის 29 სექტემბრის N1-62 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული ტესტირების ჩატარების წესისა“ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (11.10.2017. N1243103) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე ტესტირებისა და საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობები დანართი 1-ის შესაბამისად;

2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირებაზე გამოიყონ შემდეგი მეთვალყურეები:

ა) ლარისა გულიშვილი - ბიბლიოთეკარი;

ბ) ქეთევან აბულაძე - კანცელარიის სპეციალისტი;

3. ეს ბრძანება განთავსდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

4. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

რძის გადამმუშავებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ტესტირების კომისია

1. ციური დურულიე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე).

2. ზურაბ პაპიაშვილი - დარგის სპეციალისტი (კომისიის წევრი).

3. ლევან წიქარიძე - პროფესიული პროგრამების ადმინისტრატორი (კომისიის წევრი).

საპრეტენზიო კომისია

1. მარიკა შერაზადიშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი (კომისიის თავმჯდომარე).

2. თეა ხორგუაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).

3. ნინო ორჯონიკიძე - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კომისიის მდივანი).

4. ნათია ჟოჟუაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფრსორი (კომისიის წევრი).